ნასყიდობის ხელშეკრულება №

ქ. თბილისი ”------” --------2026 წელი

ერთის მხრივ, შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ (საიდენტიფიკაციო №202462101), შემდგომში- ”გამყიდველი”, წარმომადგენელი მისი დირექტორის გიორგი ჯინჯოლავას სახით და მეორეს მხრივ ---------- (საიდენტიფიკაციო ----------), შემდგომში ”მყიდველი”, წარმომადგენელი მისი ----------

სს ”საქართველოს რიკინიგზის” დირექტორთა საბჭოს 2026 წლის --- --- №--- დადგენილების, სს ”საქართველოს რკინიგზის” სამეთვალყურეო საბჭოს 20265 წლის --- ----- № -- სხდომის ოქმის (საკითხი ---), შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების“ მიერ 2026 წელს (დაწყების თარიღი--------- დამთავრების თარიღი--------) გამოცხადებული №------- ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ,,გამყიდველი“ გადასცემს „მყიდველს“ საკუთრების უფლებას მის კუთვნილ --- ერთეულ (მარკა, მოდელი) ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე. .

1.2. ”მყიდველისთვის” ნასყიდობის საგნის გადაცემა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც დადასტურდება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ.

2.ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების საგნის ნასყიდობის ფასი შეადგენს ---------- (----------) ლარს (დღგ-ს ჩათვლით);(ელექტრონულ აუქციონზე ”მყიდველის” მიერ ლოტზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა).

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. მყიდველი ვალდებულია სრულად გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასი (დღგ-ს ჩათვლით, ”ბე-ს” თანხის ------- გამოკლებით), ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში, ,,გამყიდველის“ შემდეგ საანგარიშსწორებო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

მიმღები:

შპს ”ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები”

ს/კ 202462101

მის: ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ.№15

ბანკი: სს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა: GE75 TB77 8733 6070 1000 01

ელ. ფოსტა: sales@railway.ge

ტელ: 032 219 91 19

3.2. ”მყიდველის” მიერ გადახდილი ”ბე”-ს თანხა (საგარანტიო თანხა) ---------- ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ჩაითვლება გასაყიდი ქონების ფასში საბოლოო ანგარიშსწორებისას;

3.3. თუ ”მყიდველი” 3.1. პუნქტით დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ნასყიდობის საგნის დარჩენილ ღირებულებას - ---------- ლარს (დღგ-ს ჩათვლით), №------- ელექტრონული აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონი) შედეგები უქმდება და ”მყიდველს” არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და არ დაუბრუნდება გადახდილი ”ბე”-ს თანხა (საგარანტიო თანხა) - ---------- ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

4. ნასყიდობის საგნის გატანის პირობები და ვადები

4.1„მყიდველმა“ ნასყიდობის ფასის გადახდიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში, საკუთარი ხარჯით, სრულად უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით შეძენილი ქონების გატანა (დატვირთვა, ტრანსპორტირება, აუცილებელი საბუთების გაფორმება და ამასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა) „გამყიდველის“ ტერიტორიიდან.
4.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული შეძენილი ქონების გატანის ვადის გადაცილების შემთხვევაში, ”მყიდველს” დაერიცხება პირგასამტეხლო სარეალიზაციო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; დარიცხული პირგასამტეხლოს მთლიანი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ქონების ნასყიდობის ფასის 10%-ს;

4.3 შეძენილი ქონების გატანა ”მყიდველმა” უნდა მოახდინოს ”გამყიდველის” წარმომადგენლის თანდასწრებით.

5. მყიდველზე საკუთრების უფლების გადასვლა

5.1. შეძენილ ქონებაზე ”მყიდველი” საკუთრების უფლებას იძენს „გამყიდველისათვის“ ნასყიდობის ფასის სრულად გადახდისა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის/დაკარგვის ან გაფუჭების რისკი.
5.3 ,,გამყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირთა წრე განისაზღვრება შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალების“ დირექტორის ბრძანებით.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1 ”გამყიდველი” ვალდებულია:

6.1.1 ”გამყიდველი” ვალდებულია ”მყიდველს” გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში განსაზღვრული ქონება;

6.2 ”მყიდველი” ვალდებულია:

6.2.1 დათქმულ ვადაში სრულად გადაიხადოს ნასყიდობის საფასური;

6.2.3 ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში სრულად უზრუნველყოს შეძენილი ქონების გატანა ”გამყიდველის” ტერიტორიიდან და გატანის პროცესში დაიცვას უსაფრთხოების ნორმები;

6.2.4. საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ნასყიდობის საგნის შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია საჭიროების შემთხვევაში.

7.დავის გადაწყვეტა

7.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან შეთანხმების გზით;

7.2 . შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

8.ხელშეკრულების შეცვლა

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა დაიშვება მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმებით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

10. სხვა პირობები

10.1. თითოეული მხარე ვალდებულია მკაცრად დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

10.2. ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

10.5. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რაც გაფორმებული უნდა იქნას წერილობით.

მხარეთა რეკვიზიტები

”გამყიდველი” ” შპს „ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები“ ს/კ 202462101 მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15 _____	„მყიდველი“ _____